ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #47

2025წ. 28 თებერვალი 10.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ალ.არველაძე, ა.ხუჯაძე,
ლ.დავითაშვილი,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები

გიორგი ბებიაშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ა.ცინცაძე

სხდომის თავმჯდომარე ა.ცინცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3028 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N: 12-032503069-03 31.01.2025წ
2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კათალიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩა N17, N17ა, N19, N21, N23, N25, N21ა, N23ა; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.200.009, ფართობი - 2 800 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-032505165-03 21.02.2025წ.
3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-032505164-03 21.02.2025წ.
4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2 348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-032505720-03 26.02.2025წ.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
   N:12-032505756-03 27.02.2025წ

1. მოისმინეს:

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264, ფართობი - 3028 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 13 დეკემბრის N01243482614-67 (N01243661842-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.055.264) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.15.02.055.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.5), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.5-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 5 (ხუთი) სართულის დამატებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

N01243482614-67 (N01243661842-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N009108524, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 7 784 249 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 3,113,699,60 (სამი მილიონ ას ცამეტი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი და სამოცი მეასედი) ლარით.

2. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა დეპუტატებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კათალიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩა N17, N17ა, N19, N21, N23, N25, N21ა, N23ა; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.200.009, ფართობი - 2 800 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.6-დან კ-2=3.7-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) სართულის დამატებასა და 20 (ოცი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 3,320,313.62 ლარით.

3. მოისმინეს:

სხდომაზე, აგრეთვე, განხილული იქნა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.6-დან კ-2=3.7-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) სართულის დამატებასა და 20 (ოცი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების

განსაზღვრა. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 3,320,313.62 ლარით.

4. მოისმინეს:

ნინო ბაგაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, საბადურის ქუჩა N23; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის (საბადურის) ქუჩა N25ა; ქალაქი თბილისი, ვაჟა ივერიელის ქუჩა N23ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.034.046, ფართობი - 2 348 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.9-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 4 (ოთხი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 10 (ათ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 1 959 469.68 ლარით.

5. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი ბებიაშვილმა დეპუტატებს გააცნო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების შემუშავება ითვალისწინებს როგორც ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას, აგრეთვე, შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახური რამდენიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფად (განყოფილებად) იყოფა, რომელთა ფუნქციებიც სწორედ ზემოხსენებული დადგენილებით არის გაწერილი. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს, სტრუქტურული

ქვედანაყოფებისთვის სწორი ფუნქცია-მოვალეობები მინიჭებას, კონკრეტული და ახალი მიმართულებების განსაზღვრა/ჩამოყალიბებას.

ერთ-ერთ ცვლილებას წარმოადგენს დადგენილების მოქმედი რედაქციის მიხედვით არსებული ტურიზმის განყოფილების გაუქმება და მისი რიგი ფუნქციების ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის განყოფილებისთვის მინიჭება. ორივე ზემოხსენებული განყოფილებების მიზანია თბილისის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა, ტურისტული და სხვა სახის ინვესტიციების მოზიდვა, ქალაქის, როგორც ტურისტულად, ასევე საინვესტიციოდ მიმზიდველი მიმართულების წარმოჩენა ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება და კერძო სექტორის ჩართულობა და ეკონომიკური აქტიურობა. აქედან გამომდინარე, თბილისის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და კერძო სექტორის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობა ხშირად იკვეთებოდა და თანხვედრაში გახლდათ ერთმანეთთან. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ოპტიმიზაციის მიზნებიდან გამომდინარე საჭიროება დაკარგა ტურიზმის განვითარების განყოფილების არსებობამ და მოხდა მისი გაუქმება.

განხორციელდა ცვლილებები სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციების დაზუსტების და გამიჯვნის მიზნით:

კერძოდ წინა რედაქციაში ბიზნესის განვითარების განყოფილებაში გვხდებოდა მუხლები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტიციების განვითარების შესახებ. პრაქტიკაში აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენდა ინვესტიციების მოზიდვის და ხელშეწყობის განყოფილების ფუნქციებს, შესაბამისად მიენიჭა აღნიშნულ განყოფილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები დაზუსტდა და გადანაწილდა იმგვარად, რომ ისინი მოერგო იმ საქმიანობებს, რასაც თითოეული მათგანი პრაქტიკაში ახორციელებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ანალიტიკურ განყოფილებას დაემატა ეკონომიკური და ბიზნეს ფორუმების განხორციელების ფუნქცია.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ სხდომაზე განხილული ყველა საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ა.ცინცაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ა.ცინცაძე